

ზაქარია ფალიაშვილის პირადი საარქივო ფონდი

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში მიმდინარე ეროვნული თვითგამორკვევის პროცესი ახალი ქართული კულტურის განვითარებას უყრის საფუძველს. ამ პერიოდს ეკუთვნის პირველ რიგში ქართული თეატრის აღორძინება, რომელიც გიორგი ერისთავის სახელს უკავშირდება. ილიას თაოსნობით კი ლიტერატურა იქცა ახალგაზრდობის თავისუფლებისთვის ბრძოლის იარაღად. ამ სულისკვეთებამ თავი იჩინა ხელოვნების ყველა დარგში. ახალმა იდეურმა ტალღამ მოიცვა და წინ წამოსწია ქართველ კომპოზიტორთა პირველი თაობაც, რომლის სახელსაც უკავშირდება ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბება. ზაქარია ფალიაშვილი თავისი ნოვატორული ხედვითა და შემოქმედებით ამ თაობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია, ვინაიდან მან პირველმა დაუკავშირა ინდივიდუალური შემოქმედება ეროვნული მუსიკის ნიშან-თვისებებს.

ზაქარია ფალიაშვილი დაიბადა 1871 წელს ქუთაისში, კათოლიკეთა ოჯახში. 8 წლიდან მღეროდა კათოლიკური ეკლესიის გუნდში. აქვე მოზარდის სმენა ორგანოზე გაიტაცა, რის შემდეგაც ეუფლება მასზე დაკვრას. გალობამ და ორგანოზე ურთიერთობამ პატარაობიდანვე განსაზღვრა ზაქარიას ინტერესი და მისწრაფება მუსიკალური ხელოვნებისადმი. თბილისში გადმოსვლის შემდეგ იგი ლაღო აღნიაშვილის ქართულ ეთნოგრაფიულ გუნდში სიმღერას იწყებს. იმ დღიდან მისი სმენა მოექცა ქართული ტრადიციული მრავალხმიანი მუსიკის გავლენის ქვეშ, რაც მომავალი კომპოზიტორის შემოქმედებაში შთაგონების მთავარ წყაროდ იქცა.

1900 წელს ზაქარია სასწავლებლად გაემგზავრა მოსკოვში და ჩაირიცხა კონსერვატორიაში გამოჩენილი კომპოზიტორისა და პედაგოგის – სერგეი ტანეევის კლასში. მისი წყალობით მომავალი კომპოზიტორი ეზიარა დასავლეთ ევროპის მუსიკალურ კულტურას და საფუძვლიანად შეისწავლა კლასიკური პოლიფონიური ტექნიკა.

სამშობლოში დაბრუნებული ზაქარია იწყებს ინტენსიურ შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. პედაგოგად იწვევენ თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში, ხოლო გუნდის ხელმძღვანელად სათავედაზნაურო გიმნაზიაში. მისი აქტიური მონაწილეობით დაფუძნდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“, სადაც დააარსა გუნდი და ორკესტრი; მიიწვიეს „ქართულ ენაზე ოპერების გამმართველ საზოგადოებაში“, სადაც თავად დირიჟორობდა ქართულად თარგმნილ ევროპულ ოპერებს.

პარალელურად მის ძირითად საქმედ იქცა ხალხური სიმღერების შეკრება და შესწავლა. ექსპედიციებით შემოიარა ქართლ-კახეთი, სვანეთი, გურია და აჭარა. ჩაწერილი ხალხური სიმღერებიდან შეადგინა და გამოსცა 2 კრებული, მათ შორის ხალხური სიმღერების გადამუშავება შერეული გუნდისა და თანხლებისათვის.

სწორედ ხალხური სასიმღერო ფოლკლორი იქცა შემოქმედებით ლაბორატორიად და შთაგონების მთავარ წყაროდ კომპოზიტორის უმთავრესი საქმიანობის - კლასიკური ოპერის შექმნის გზაზე.

1910 წელს ზაქარია იწყებს მუშაობას ოპერაზე „აბესალომ და ეთერი“ პეტრე მირიანაშვილის ლიბრეტოს მიხედვით. ოპერის ნაწყვეტები 1913 წელს შესრულდა და იმთავითვე გამოიწვია ქართული საზოგადოების დიდი ინტერესი.

პრემიერა კი ტრიუმფით შედგა 1919 წლის 21 თებერვალს ავტორისავე ღირიურობით.

უნდა ითქვას, რომ „აბესალომ და ეთერი“ ქართულ სცენაზე შესრულებული რიგით მესამე ოპერა იყო რევაზ გოგინიაშვილის „ქრისტინესა“ (1918 წ. 21 მაისი) და დიმიტრი არაყიშვილის ოპერის - „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1919 წ. 5 თებერვალი) შემდეგ. თუმცა სრულყოფილებითა და გამორჩეული მუსიკალური ენით სწორედ „აბესალომ და ეთერი“ იწეებს ქართული კლასიკური ოპერის ისტორიას.

ჩვენი მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი საგანმურთავანია ზაქარია ფალიაშვილის მეორე ოპერა „დაისიც“ (1923 წ.), რომელიც გამორჩეულია თავისი რომანტიკული ბუნებითა და მუსიკალური ენით. ორივე ოპერა, როგორც კერძოდ ავტორის შემოქმედებაში, ისე ზოგადად ქართული მუსიკის ისტორიაში დღემდე შექმნილ მუსიკალურ თხზულებათა შორისაც გამორჩეულ ადგილს იკავებს თავისი სრულყოფილებით. გარდა ამისა კომპოზიტორს ეკუთვნის მესამე ოპერა „ლატავრა“ (1927 წ.), რომელმაც ვერ მოიპოვა მისი წინამორბედთა მსგავსი წარმატება; ქართული კანტატის უანრში საეტაპო მნიშვნელობისაა „სახეიმო კანტატა“, რომელიც 1927 წელს ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავს მიეძღვნა. იგი ერთ-ერთი პირველი ცდაა ქართული კანტატის შექმნისა; აღსანიშნავია ქართული მესის პირველი ნიმუში, რომელიც კომპოზიტორმა სრულიად ახალგაზრდამ 1900 წელს შექმნა გუნდისა და ორგანისათვის; ასევე იგი ავტორია 6 რომანსისა; საგუნდო მუსიკის უანრში კი ორიგინალური საგუნდო ქმნილებების გარდა აქვს დამუშავებები ხალხური სიმღერებისა და ტრადიციული საგალობლების – „ქართული ლიტურგიის“ სახელწოდებით.

ზაქარია ფალიაშვილი აქტიურ საკომპოზიტორო მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში გადადგა. მან სახელი გაითქვა გუნდის ლობარობითაც. სისტემატურად ატარებდა ხალხური სიმღერის კონცერტებს თბილისსა და სხვა ქალაქებში. პარალელურად აწყობდა ექსპედიციებს და ფონოგრაფის საშუალებით იწერდა ხალხურ სიმღერებს. ეწეოდა პედაგოგოურ მოღვაწეობას მუსიკალურ დისციპლინებში, ასევე ამეცადინებდა სასწავლო გუნდებს ხალხურ სიმღერასა და ქართულ მართლმადიდებლურ საეკლესიო გალობაში (ეს გარემოება ხაზგასასმელია, ვინაიდან ფალიაშვილს კათოლიკური მრწამსი არასდროს შეუცვლია, თუმცა ის გრძნობდა ქართული ტრადიციული გალობის სიღრმეებს და თავადაც საფუძვლიანად შეისწავლა იგი). 1918 წლიდან ზაქარია დაინიშნა ამიერკავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის კონსერვატორიის დირექტორად, სადაც ასევე ძალზედ ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა. დირექტორობის პერიოდში გამოვლინდა არა მხოლოდ მართვის კარგი უნარი, არამედ მისი პიროვნული ღირსებებიც, როგორც ჰუმანისტისა და გულითადი ადამიანის.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ზაქარია ფალიაშვილის პირადი საარქივო ფონდი, სადაც სხვა უამრავ მასალასთან ერთად ინახება მისი პირადი წერილები და კონსერვატორიის ოქმები დირექტორ ფალიაშვილის ხელმოწერებით, სადაც მრავლადაა დოკუმენტები, რომლებშიც ჩანს, თუ როგორ ცდილობდა ზაქარია ნიჭიერი სტუდენტებისთვის ხელის გამართვას სტიპენდიების დანიშვნით, ხელმოკლე სტუდენტთათვის ერთჯერადი დახმარების გაწევით, განათლების სახალხო კომისარიატისადმი შუამდგომლობის წერილებით – გამოყოფოდა ფინანსები

ავადმყოფობის პერიოდში სტუდენტებსა თუ კოლეგა-პედაგოგებს. გასაოცარი სიტუატია თითოეული წერილი შექმნილი. ასეთივე მეგობრული სიყვარულით და დიდი ყურადღებით გამოირჩევა მისი წერილები მელიტონ ბალანჩივაძის, კოტე ფოცხვერაშვილის, ესტატე ხუციშვილის, ალექსანდრე წუწუნავას, პედაგოგ სერგეი ტანეევისა, თუ სხვა ცნობილი კოლეგებისადმი, რაც ნათლად წარმოაჩენს ამ წერილების ავტორის პიროვნულ თვისებებს. აქვეა დაცული სტატიები და რეცენზიები ზაქარიას შემოქმედებაზე. მისი, როგორც გენიალური კომპოზიტორის შესახებ ბევრი თქმულა და საყოველთაოდაა ცნობილი, თუმცა ყურადღებას იპყრობს და განსაკუთრებით აღნიშნის ღირსია ის რეცენზიები, რომელიც მისი, როგორც საოპერო ღირიჟორის შეფასებას ეხება. ვიდრე ზაქარია შეუდგებოდა ოპერის წერას, ის თბილისის სცენებზე თავად ღირიჟორობს მსოფლიოს ცნობილ კომპოზიტორთა - ვერდის, ბიზეს, დელიბის, ჩაიკოვსკისა და გლინკას ისეთ ცნობილ ოპერებს, როგორცაა : „ტრავიატა“, „მარგალიტის მადიებელი“, „კარმენი“, „ლაკმე“, „პიკის ქალი“, „ივან სუსანინი“, „რუსლან და ლუდმილა“. რეცენზიები ზაქარიას საღირიჟორო ტექნიკის მაღალი შეფასებებით იბეჭდება გაზეთის - „закавказское обозрение“ 1908-09 წლების გამოცემებში.

სააქრივო მასალების დიდ ნაწილს შეადგენს ზაქარიას ოპერების სადადგმო პროგრამები, როგორც ქართული, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების საოპერო სცენებზე სადადგმო პროგრამები, რაც დასტურია, თუ როგორ მიიღო ფართო საზოგადოებამ ეს ოპერები, რამდენად მოთხოვნადი იყო და რაოდენ პოპულარობით სარგებლობდა საოპერო ხელოვნების მოყვარულთა შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ზაქარიას ოპერებით დაიწყო ქართული მუსიკის აქტიური გასვლა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. რუსულ, უკრაინულ და პოლონურ ენებზე თარგმნილი მისი ოპერების მეშვეობით გაიცნო უცხოეთმა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ქართული კლასიკური მუსიკალური შემოქმედება. საინტერესოა საკუთარი ოპერების თავად კომპოზიტორისეული შეფასება. უპირველესად, მის პიროვნულ თავმდაბლობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საკუთარ თავს არ უწოდებდა კომპოზიტორს და მიიჩნევდა, რომ მან მხოლოდ თავი მოუყარა ცნობილ ხალხურ სიმღერებს და მოახდინა მათი ჰარმონიზაცია „აბესალომ და ეთერის“ მაგალითზე. „დაისში“ კი „ქართული ჰანგის კოლორიტზე შეთხზული მუსიკა ჩამოყალიბებულია ევროპული მუსიკის უფრო ფართო ფარგლებსა და ფორმებში“. ზაქარია თვლიდა, რომ ერი, რომელსაც გააჩნია დიდი ტრადიციული მუსიკალური კულტურა, შექმნის ახალ მუსიკალურ შემოქმედებას. ამერიკული, ინგლისური და იაპონური მუსიკალური ხელოვნების შესახებ ის წერდა: „ამ ქვეყნების ხალხური მუსიკა უმნიშვნელოდ არის განვითარებული და რაც კი შეუქმნიათ მათ, დაბალი გემოვნებით ხასიათდება. თუკი როდესმე მოისმენთ ამ ქვეყნების კარგი კომპოზიტორების ნაწარმოებებს, ან გამოჩენილი ოსტატების შესრულებას, ისინი უმეტეს შემთხვევაში უცხოელები არიან“...

დიდია რუსი პოლიფონისტის – სერგეი ტანეევის დამსახურება ზაქარია ფალიაშვილის კომპოზიტორად ჩამოყალიბებაში. ვოკალური პოლიფონიის ბრწყინვალე ოსტატისგან ზაქარიამ ის ცოდნა მიიღო, რაც ქართული ორიგინალური პოლიფონიური წყობის მუსიკის ევროპულ ჩარჩოებში მოქცევაში დაეხმარებოდა. ზაქარიას შემოქმედების მაგალითზე ევროპული მუსიკალური ტრადიციების და ქართული ფოლკლორის ურთიერთქმედება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მან არათუ გადმოიღო ზოგადევროპული საკომპოზიტორო ტრადიციები, არამედ ეროვნულ საფუძვლებზე დამყარებული საკუთარი

შემოქმედებით ქართული მუსიკალური კულტურა აიყვანა იმ დროის ევროპული მუსიკის დონეზე. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია „აბესალომ და ეთერი“, რომლის მთელი მესამე აქტი თავისი სიღრმით, დინამიკით, საოცარი მელოდიური გამომსახველობით, ჰარმონიით, ემოციური სისავსით, საგუნდო ხმოვანების მასშტაბით და პოლიფონიური განვითარებით მსოფლიო მუსიკის განვითარების მაღალ მწვერვალზე აღის. ამდენად ნაყოფიერია ზაქარია ფალიაშვილის მოღვაწეობა ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში. შემოქმედებითი მოღვაწეობის გაგრძელებაში მას ხელი შეუშალა მოულოდნელად აღმოჩენილმა მძიმე დაავადებამ. 1932 წელს მას დაუდგინეს ღვიძლის კიბო, და მალევე ლოგინად ჩავარდნილი 1933 წლის 6 ოქტომბერს გარდაიცვალა. ზაქარია ფალიაშვილი დაკრძალულია მისივე სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბაღში.

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე ზაქარია ფალიაშვილის შუამდგომლობის წერილი განსახკომისადმი, პიანისტ ეკატერინე თუმანოვასთვის [თუმანიშვილი] ხატვაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ მივლინების დაფინანსების შესახებ. 1921 წ. 7 ივლისი. თბილისი. ხელნაწერი კონსერვატორიის ბლანკზე. ხელს აწერენ ზაქარია ფალიაშვილი და სამხატვრო საბჭოს მდივანი ატერბეგონიანი (?). სახელმწიფო კონსერვატორიის ბეჭდით დამოწმებული. მელანი. 1 გვ.
2. ზაქარია ფალიაშვილის წერილი სახელმწიფო აკადემიური თეატრის გამგისადმი, ახალი ოპერის – „ღამის თევაზე“ [„დაისი“] კლავირისა და პარტიების გადასაწერად სანოტო ფურცლებს მოთხოვნის თაობაზე. 1922 წ. 8 ოქტომბერი. თბილისი. ზაქარია ფალიაშვილის ავტოგრაფი, მისივე ხელმოწერით ადევს რეზოლუცია 9 ოქტომბრით დათარიღებული. მელანი. 1 გვ.
3. ზაქარია ფალიაშვილის განცხადება მთავარი სახელოვნო კომიტეტისადმი, საავტორო ჰონორარის გაზრდის მოთხოვნით. წერილს ერთვის მთავარი სახელოვნო კომიტეტის შუამდგომლობა სახელმწიფო თეატრების სამმართველოსადმი. 1922 წ. 17 ოქტომბერი. თბილისი. ზაქარია ფალიაშვილის ავტოგრაფი. ხელს აწერენ ზაქარია ფალიაშვილი და შალვა აფხაიძე. წერილს ადევს მთავარი სახელოვნო კომიტეტის მდივნის – შალვა აფხაიძის თანხმობის რეზოლუცია. შუამდგომლობის წერილი განსახკომის ბლანკზე ნაბეჭდი 27 ოქტომბრით დათარიღებული. 2 გვ.
4. იუბილეთა მომწიფობი კომისიის მიმართვა თბილისის პირველი კონსერვატორიის დირექტორ ზაქარია ფალიაშვილისადმი, ამავე კონსერვატორიის დამსახურებული პედაგოგის - მარიამ გაბაევის პედაგოგიური მოღვაწეობისა 45 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს მოწყობის თაობაზე.

1923 წ. 6 მარტი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ ზაქარია ფალიაშვილი და კონსერვატორიის მდივან-ინსპექტორი. გვარი არ იკითხება. რუსულ ენაზე. 1 გვ.

5. კონსერვატორიის დირექტორ ზაქარია ფალიაშვილის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი, განსახკომისა და მელიტონის მიერ კონსერვატორიის ეგზეკუტორად წარდგენილი ხოლზაკის კანდიდატურის დანიშვნაზე თანხმობის შესახებ.

1923 წ. 29 მარტი. კონსერვატორიის ბლანკი. ზაქარია ფალიაშვილის ავტოგრაფი ხელმოწერით. წითელი მელანი. 1 გვ.

6. სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორ ზაქარია ფალიაშვილის წერილი განსახკომის მუსიკალური განყოფილება „მუზას“ გამგისადმი, კონსერვატორიის სტუდენტ მარიამ კალანდაძისთვის მატერიალური დახმარების გაწევის თხოვნით.

1923 წ. 9 ივნისი. ზაქარია ფალიაშვილის ავტოგრაფი ხელმოწერით. განსახკომის ბეჭდით დამოწმებული. მელანი. 1 გვ.

7. სახელმწიფო პირველი კონსერვატორიის მოწაფე დავით გულუას განცხადება ამავე კონსერვატორიის დირექტორ ზაქარია ფალიაშვილისადმი, სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. განცხადებას ერთვის ზაქარია ფალიაშვილის შუამდგომლობის წერილი განსახკომისადმი. პირი:

შავერზაშვილი [თამარ].

1923 წ. 21 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. წერილი - ზაქარია ფალიაშვილის ავტოგრაფი. ხელს აწერენ ზაქარია ფალიაშვილი და დავით გულუა. 2გვ.

8. ამონაწერი ოქმიდან კონსერვატორიის რეორგანიზაციის შესახებ.

პირი: იპოლიტოვ-ივანოვი, ფალიევი [ზაქარია ფალიაშვილი], ბალანჩივაძე [მელიტონ], არაკჩიევი [დimitრი არაყიშვილი], ფოცხვერაშვილი [კოტე], ტრესკოვსკი, ვილშაუ, ლედნიკი, ნახუცრიშვილი, კილოსანიძე, ხოფერია, სააკოვი, ფარესოვი.

1924 წ. 24 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ ზაქარია ფალიაშვილი და მდივანი - გვარი არ იკითხება. რუსულ ენაზე. 1 გვ.

9. სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორ ზაქარია ფალიაშვილის წერილი განსახკომისადმი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სამკურნალოდ მატერიალური დახმარების გამოყოფის შესახებ.

ტოპონიმი: აბასთუმანი.

1924 წ. 24 ივნისი. თბილისი. ზაქარია ფალიაშვილის ავტოგრაფი, მისივე ხელმოწერით. წერილი რეგისტრატურაში გატარებულია 1924 წლის 24 ივლისს და დამოწმებულია განსახკომის ბეჭდით. ადევს რეზოლუცია. 2 გვ.

10. კინოშემოქმედებითი ამხანაგობა „მეურაბპომ-რუსის“ ამიერკავკასიის განყოფილების დავალება ზაქარია ფალიაშვილისადმი ფილმისთვის – „დინა-ძაძუ“ მუსიკის შექმნის შესახებ. ერთვის ხელშეკრულება.

1926 წ. 12 იანვარი; 5 თებერვალი. „მეურაბპომ-რუსის“ ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: აბრამოვიჩი, ბერმანი, კალანდაროვი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

11. ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისათვისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა მართვის კომისიის წევრ ზაქარია ფალიაშვილის მიმართვა ამავე კომისიის თავმჯდომარე შალვა დადიანისადმი, სადღესასწაულო პროექტში მუსიკალურ-სამხატვრო მხარის ჩართვის შესახებ.

1927 წ. 19 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

12. ამონაწერი სახელმწიფო აკადემიური ოპერის თეატრის ბრძანებიდან, ზაქარია ფალიაშვილისათვის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ წარმოდგენებზე მუდმივი ერთი ლოკის გამოყოფის შესახებ.

პირი: ოპერის თეატრის დირექტორი ე. მამულაიშვილი.

1927 წ. 10 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

13. ზაქარია ფალიაშვილის განცხადება მთავარ სახელოვნო კომიტეტისადმი, საოპერო თეატრის რეპერტუარიდან ოპერა „ლატავრას“ მოხსნის რეალური მიზეზების გარკვევის შესახებ. წერილს ერთვის აკაკი ფაღავას საპასუხო რეზოლუცია.

1929 წ. 10 ივლისი. თბილისი. ვტოგრაფი. შავი, წითელი მელანი. ხელს აწერენ ზაქარია ფალიაშვილი და აკაკი ფაღავა. 1 გვ.

14. ზაქარია ფალიაშვილის წერილი მწერალთა და კომპოზიტორთა სამმართველოსადმი, გაერთიანებაში „Модюк“ წევრად მიღების შესახებ.

პირი: არაკჩიევი [არაყიშვილი], გოლდენგეიზი.

1929 წ. 10 დეკემბერი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

15. ზაქარია ფალიაშვილსა და ოპერის თეატრის დირექტორ ლევან ჯაფარიძეს შორის დადებული ხელშეკრულება ოპერების „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისის“ 1929-30 წწ. სეზონზე დადგმის შესახებ.

პირი: ივანე ფალიაშვილი.

1929 წ. 25 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ ლევან ჯაფარიძე და ზაქარია ფალიაშვილი. 2 გვ.

16. თბილისის I სახალხო სასამართლოს აღმასრულებელ გაბუნias განცხადება თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრისადმი ზაქარია ფალიაშვილის საავტორო ჰონორარის შესახებ. ერთვის ბუღალტერიის მიერ გაცემული ორდერი და ქვითარი. 1930 წ. 18 აპრილი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერენ სასამართლო აღმასრულებელი გაბუნია და ოპერის თეატრის ბუღალტერი, გვარი არ იკითხება. სახალხო სასამართლოს ბეჭდით დამოწმებული. ფანქარი, მელანი. 3 გვ.

17. ზაქარია ფალიაშვილის მიმართვა თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრისადმი, ნოტების ქირის მოთხოვნის შესახებ. მიმართვას ერთვის საღაროს ორდერი და დადგმული საოპერო სპექტაკლების ჩამონათვალი.

1930 წ. 22 ნოემბერი. ავტოგრაფი. ხელს აწერენ: ზაქარია ფალიაშვილი, ოპერის თეატრის დირექტორი, ბუღალტერი ხელმოწერები არ იკითხება. რეზოლუციით. ფანქარი, მელანი. 3 გვ.

18. ზაქარია ფალიაშვილის განცხადება განსახკომისადმი, სადაც აღნიშნულ მიზეზთა გათვალისწინებით გამოთქვამს პროტესტს ოპერა „აბესალომ და ეთერის“ განახლებული დადგმისთვის რეჟისორ აკაკი ფალავას კანდიდატურის დამტკიცების შესახებ.

პირი: კიტა მეგრელიძე, შ. დუდუჩავა, პაპავა, ჯაფარიძე [ლევან], ივანე ფალიაშვილი, რიბაკი, კარგალსკი, ალექსანდრე წუწუნავა, კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ასმეტელი.

ტოპონიმი : მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი.

1931 წ. 2 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ზაქარია ფალიაშვილის ჩასწორებებით და ხელმოწერით. მელანი. 7 გვ. 4 ეგზ.

19. წერილი განსახკომის ხელოვნებისა და ლიტერატურის სექტორისაგან ზაქარია ფალიაშვილის სახელზე, ოპერა „აბესალომ და ეთერის“ კლავირისა და პარტიტურის დროულად გადაცემის შესახებ.

ტოპონიმი: მოსკოვი.

1931 წ. 10 დეკემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს მდივანი - ო. ჯიბლაძე. მელანი. 1 გვ.

20. ხარკოვის ოპერის თეატრის თხოვნა ზაქარია ფალიაშვილისადმი, უკრაინულ ენაზე დადგმული ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პირველ გენერალურ რეპეტიციასე დასწრების შესახებ.

1931 წ. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ბოიარსკი, ფალავა [აკაკი]. უკრაინულ ენაზე. 1 გვ

21. ზაქარია ფალიაშვილის ავტობიოგრაფია.

პირი: ნ.ს. კლენოვსკი, ტანევი [სერგეი], მირიანაშვილი [პეტრე], შანშიაშვილი [ალექსანდრე].

ტოპონიმი: ქუთაისი, თბილისი, მოსკოვი.

უთარილო. ზაქარია ფალიაშვილის ავტოგრაფი ხელმოწერით. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

22. ზაქარია ფალიაშვილის ბიოგრაფია.

პირი: ნ. კლენოვსკი. ტანევი სერგეი მირიანაშვილი პეტრე.

ტოპონიმი: ქუთაისი, თბილისი, მოსკოვი.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

სანოტო მასალა

23. ზაქარია ფალიაშვილის რომანსი „ახალ აღნაგო სულოდა“.

1903 წ. 16 ნოემბერი. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 6 გვ.

24. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

1919 წ. ავტოგრაფი. მელანი. 142 გვ.

24. ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით ოპერა „დაისის“ უვერტიურის საიუბილეო გამოცემა.

პირი: ვალერიან გუნია.

1947 წ. თბილისი. ოპერის თეატრი. სტამბური. არასრული. ქართულ და რუსულ ენებზე. 14 გვ.

25. ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ I, II, III მოქმედება.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 803 გვ.

26. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ კლავირი.

სამუშაო ეგზემპლარი.

უთარილო. ხელნაწერი. აკაკი ფალავას ჩასწორებებით. მელანი, ტუში, ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 350 გვ.

27. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. ვოკალური პარტიები. მალხაზის არია პირველი მოქმედებიდან. რაგმენტები პირველი და მეორე მოქმედებიდან.

უთარილო. ავტოგრაფი. 16 გვ.

28. მალხაზის არია „თავო ჩემო“ ოპერიდან - „დაისი“.

უთარილო. არასრული. სტამბური. 2 გვ.

29. მალხაზის არია „თავო ჩემო“ ოპერიდან - „დაისი“.

უთარილო. არასრული. სტამბური. 1 გვ. 2 ეგზ.

30. ფრაგმენტი ფინალისა ოპერიდან – „დაისი“.

უთარილო. არასრული. სტამბური. სანოტო მასალას თან ახლავს ფურცელი, სადაც ფანქრით მოხსენიებულია თურქმენეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე დანგატარ ოვეზოვი და ერევნის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, კომპოზიტორი ტერ-გევონდიანი. 2 გვ.

31. აბესალომისა და მურმანის დუეტი ოპერიდან - „აბესალომ და ეთერი“.

უთარილო. არასრული. ავტოგრაფის ფოტოკოპირი. 1 გვ.

32. ცანგალას კუპლეტები ოპერიდან - „დაისი“.

უთარილო. ხელნაწერი. ტუში, მელანი. ვერბალური ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე. 7 გვ.

33. ინკუბუსის კუპლეტები ოპერიდან - „ლატავრა“.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 8 გვ.

ლიბრეტოები

34. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო.

1919 წ. თბილისი. სტამბური 1 ც.

35. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო.

პირი: პეტრე მირიანაშვილი.

1939 წ. სსრკ დიდი თეატრი. სტამბური. რუსულ ენაზე. 1 ც.

36. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო. (I-II მოქმედება)

პირი: პეტრე მირიანაშვილი.

უთარილო. პირველი ოთხი გვერდი ზაქარია ფალიაშვილის ავტოგრაფი. მელანი. 20 ბმ.

37. ზაქარია ფალიაშვილი ოპერების „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერის“ (დარეჯან ცბიერი) და დიმიტრი არაყიშვილის ოპერის - „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დადგმების განხორციელებისთვის გამოყენებული მასალების ნუსხა.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 37 გვ.

38. ოპერა „ლატაერას“ ლიბრეტო - დაყოფილი პროლოგით და 5 მოქმედებად; პერსონაჟთა ნუსხა.

პირი: ალექსანდრე შანშიაშვილი.

უთარილო. ნაბეჭდი რუსულ ენაზე. 8 გვ.

39. ოპერა „ლატაერას“ ლიბრეტო.

პირი: ალექსანდრე შანშიაშვილი.

უთარილო. ზაქარია ფალიაშვილის ავტოგრაფი. მელანი. ჩასწორებებით. 4 გვ.

ჩანაწერები

40. ზაქარია ფალიაშვილის პოლიგრაფიული პორტრეტი მისივე ჩანაწერით თენგიზ კვალიაშვილისადმი.

1927 წ. 6 თებერვალი. ავტოგრაფი. 1 გვ.

41. ზაქარია ფალიაშვილის ფრაგმენტული ჩანაწეი ოპერა „დაისის“ ლიბრეტოდან. (ფინალური სცენა)

1930 წ. 6 ნოემბერი. მელანი. დაზიანებული. 1 გვ.

42. ზაქარია ფალიაშვილის ჩანაწერი – ოპერების „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისის“ შედარებითი ანალიზი და მუსიკალური ენის გარჩევა.

ტოპონიმი: აბასთუმანი.

[1923 წ.] ზაქარია ფალიაშვილის ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. 4 გვ.

43. ზაქარია ფალიაშვილის ჩანაწერი. (დოკუმენტაციიდან ამოჭრილი)

უთარილო. მელანი. 1 გვ. 2 ეგზ.

44. ზაქარია ფალიაშვილის ჩანაწერი გამოცემული ნაწარმოებების შესახებ. (ნომრები ოპერებიდან, რომანსები, კრებულები)

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

45. ზაქარია ფალიაშვილის ჩანაწერი ოპერა „დაისის“ ნომრული თანმიმდევრობით.

უთარილო. ზაქარია ფალიაშვილის ავტოგრაფი. მელანი. რუსულ და ფრანგულ ენებზე. 2 გვ.

სტატიები და რეცენზიები ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ

46. გაზეთში „Закавказское обозрение“ გამოქვეყნებული რეცენზიები, თბილისის სახაზინო თეატრში 1908-09 წწ. სეზონზე ჩატარებულ საოპერო სპექტაკლების შესახებ, რომელსაც დირიჟორობდა ზაქარია ფალიაშვილი. ოპერები: „ლაკმე“, „ტრავიატა“, „პიკის ქალი“, „ივან სუსანინი“, „რუსლან და ლუდმილა“, „მარგალიტის მადიებელი“; ზაქარია ფალიაშვილის სტატია კომპოზიტორ რიმსკი-კორსაკოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1908-09 წწ. საზეთიდან ამონარიდი. რუსულ ენაზე. 23 გვ.

47. ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალურ ასპარეზზე მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატია ჟურნალ - „Заря Востока“-ში შემოქმედებით მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

პირი: ივანე ფალიაშვილი, ნიკოლაი კლენოვსკი, სერგეი ტანეევი, სანდრო შანშიაშვილი.

ტოპონიმი: მოსკოვი.

1925 წ. 12 აპრილი. ამონაბეჭდი სტატიიდან. რუსულ ენაზე. 6 გვ. 2 ეგზ.

48. ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალურ ასპარეზზე მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატია გაზეთში - „Заря Востока“.

პირი: დ. სობინოვი, პოპოვი, ვოლჩანეცკი, მრავალი, ნიკო ქუმსიაშვილი, გელეგანიშვილი.

ტოპონიმი: მოსკოვი, კიევი, სომხეთი, აზერბაიჯანი.

1925 წ. 12 აპრილი. ამონაბეჭდი სტატიიდან. რუსულ ენაზე. 1 გვ.

49. ზაქარია ფალიაშვილის ოპერების მოსკოვსა და ლენინგრადში დადგმის შესახებ გამოქვეყნებული სტატია გაზეთში - „Заря Востока“.

პირი: მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვი, გოლდენვეიზერი, გოლოვანოვი, ს. ჩემოდანოვი, ალექსანდრე წუწუნავა, კრასინა, ი.ვ. ეკსკუზოვინი, ივანე ფალიაშვილი.

ტოპონიმი: მოსკოვი, ლენინგადი, ოდესა, კიევი, ხარკოვი.

1925 წ. ამონაბეჭდი სტატიიდან. რუსულ ენაზე. 2 გვ.

50. დოცენტ კ. კაპანელის დადებითი რეცენზია რეჟისორ აკაკი ფალავას მიერ ოპერის - „აბესალომ და ეთერი“ განახლებული დადგმის შესახებ.

1930 წ. აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

51. სტატიები ოპერა „აბესალომ და ეთერის“ 1953 წელს განახლებული დადგმის შესახებ: 1) უნგრელ სახალხო არტისტთა - შომოდი ლასლოს, იშტვან ხაიდუს, ხედი შნაიდერისა, და ვიტანი ივანის შთაბეჭდილებები ოპერა „აბესალომ და ეთერის“ შესახებ.

პირი: ოდიესი დიმიტრიადი.

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ №69. 21 მარტი. 1 გვ.

2) იოსებ გრიშაშვილის სტატია ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო-„ეთერიანის“ შესახებ.

პირი: ზაქარია ფალიაშვილი, პეტრე მირიანაშვილი.

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ №69. 21 მარტი. 2 გვ.

3) მ. ბახტაძე განახლებული დადგმის შესახებ - „დიდი შემოქმედებითი გამარჯვება“

პირი: ალექსანდრე წუწუნავა, კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ფალავა, მიხეილ კვალიაშვილი, ა. აღსაბაძე, ი. თუმანიშვილი, პეტრე ამირანაშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, თ. თაქთაქიშვილი, თ. ტაკიძე-ორჯონიკიძე, პ. თომაძე, გ. ტორონჯაძე, შ. მეძველია, ვანო სარაჯიშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, სოლიკო ვირსალაძე, იოსებ გრიშაშვილი.

გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი“ №37. 24 მარტი. 4 გვ.

4) ეთერის პარტიის შემსრულებელ თ. ორჯონიკიძის მოგონება განახლებული დადგმის სამუშაო პროცესზე: „შემოქმედების სიხარული“ .

პირი: ი. თუმანიშვილი, ოდისეი დიმიტრიადი, სოლიკო ვირსალაძე.

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ №69. 21 მარტი. 1 გვ.

5) მომღერალი სანდრო ინაშვილის სტატია „თანამეგობრობის გაძლიერებისთვის“.

პირი: ზურაბ ანჯაფარიძე, ზაქარია ფალიაშვილი.

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ №69. 21 მარტი. 2 გვ.

6) მიხეილ თოფურიას სტატია - „აბესალომ და ეთერი“.

პირი: ზაქარია ფალიაშვილი, კ. სტანისლავსკი, ი. თუმანიშვილი, პ. ამირანაშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, თ. თაქთაქიშვილი, ნადეჟდა ხარაძე, ე. ტერიშვილი, ოდისეი დიმიტრიადი, სოლიკო ვირსალაძე, ივ. ასკურავა, ვახტანგ ჭაბუკიანი, ა. დვალი, ვ. გუნაშვილი.

გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“ №7. 27 მარტი. 8 გვ.

7) ალექსი მაჭავარიანის სტატია „ახალი დადგმის შესახებ“.

პირი: ზაქარია ფალიაშვილი, ი. თუმანიშვილი, ოდისეი დიმიტრიადი, სოლიკო ვირსალაძე, ვახტანგ ჭაბუკიანი. გაზეთი „კომუნისტი“ №68. 21 მარტი. 2 გვ.

8) ლ. გორელის სტატია „მუსიკალური ხელოვნების შედეგები“.

პირი: ზაქარია ფალიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ი. თუმანიშვილი, სოლიკო ვირსალაძე, ოდისეი დიმიტრიადი, ზურაბ ანჯაფარიძე, გ. ტორონჯაძე, პ. თომაძე, ა. დვალი, ვ. გუნაშვილი, პეტრე ამირანაშვილი, ნადეჟდა ხარაძე.

ტოპონიმი: მოსკოვი.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ №38. 26 მარტი. 3 გვ.

9) ოთარ ეგაძის სტატია „უკვდავების სიმღერა“.

პირი: ზაქარია ფალიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ვანო სარაჯიშვილი, პროკოფი სვანიძე, პეტრე მირიანაშვილი, დ. მჭედლიძე, იოსებ გრიშაშვილი, ი. თუმანიშვილი, სოლიკო ვირსალაძე, ოდისეი დიმიტრიადი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ვ. გუნაშვილი, მ. გოგიჩაიშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, თ. თაქთაქიშვილი, პ. თომაძე, გ. ტორონჯაძე, შ. მეძველია, რ. გელოვანი, ნადეჟდა ხარაძე, ე. ხიჯაკაძე, შ. ქუთათელაძე, მ. გაბუნია, ივ. ასკურავა.

ტოპონიმი: სოხუმი, მთაწმინდა, გორისციხე, ნადიკვარი.

გაზეთი „კომუნისტი“ №68. 21 მარტი. 6 გვ.

10) ოპერის თეატრის დირექტორ დ. მჭედლიძის სტატია „ახალი დადგმის შესახებ“.

პირი: ზაქარია ფალიაშვილი, ო. დიმიტრიადი, ი. თუმანიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სოლიკო ვირსალაძე, ვახტანგ ჭაბუკიანი.

გაზეთი „კომუნისტი“ №37. 13 თებერვალი. 3 გვ.

- 11) მხატვარ მ. თოიძის სტატია ოპერა „აბესალომ და ეთერის“ განახლებული დეკორაციებისა და მხატვრობის შესახებ - „მხატვრის შემოქმედებითი გამარჯვება“.
პირი: სოლიკო ვირსალაძე, ი. ასკურავა.
გაზეთი „კომუნისტ“ №68. 21 მარტი. 1 გვ.
- 12) ვ. ვარდიაშვილის შთაბეჭდილებები „აბესალომ და ეთერის“ განახლებული დადგმის შესახებ - „დიდი კმაყოფილების გრძნობით“.
გაზეთი „კომუნისტ“ №68. 21 მარტი. 1 გვ.
- 13) თ. უსანეთაშვილის შთაბეჭდილებები „აბესალომ და ეთერის“ განახლებული დადგმის შესახებ - „მადლობა შესანიშნავი სპექტაკლისთვის“.
პირი: ზურაბ ანჯაფარიძე, თ. თაქთაქიშვილი.
გაზეთი „კომუნისტ“ №68. 21 მარტი. 1 გვ.
- 14) რეჟისორ ალ. თაყაიშვილის სტატია „ცნობილი ოპერა“.
პირი: თ. თაქთაქიშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, პეტრე ამირანაშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ა. დვალი, ვ. გუნაშვილი, ი. თუმანიშვილი, ო. დიმიტრიადი, ს. ვირსალაძე. გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“ №7. 27 მარტი. 2 გვ.
- 15) სტატია - „უკვდავი ქმნილება“, ოპერა „აბესალომ და ეთერის“ განახლებულ ვერსიაზე მუშაობის პროცესის შესახებ. დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი
პირი: ი. თუმანიშვილი, სოლიკო ვირსალაძე, ე. ტერიშვილი, ი. გორდონი, მ. ანდრონიკაშვილი, რ. სალაყაია, მ. კვალიაშვილი.
გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ №69. 21 მარტი. 2 გვ.
- 16) სტატია - „დიდ სცენაზე“, ზურაბ ანჯაფარიძე სპექტაკლში მისი მონაწილეობისა და აბესალომის პარტიის შესახებ.
პირი: ზაქარია ფალიაშვილი, დავით ანდლულაძე.
გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ №69. 21 მარტი. 2 გვ.
- 17) სტატია - „საყვარელი როლი“, თამარ თაქთაქიშვილი განახლებულ დადგმაში ეთერის პარტიაზე მუშაობის პროცესის შესახებ.
პირი: ზაქარია ფალიაშვილი.
გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ №69. 21 მარტი. 1 გვ.
- 18) ი. ლეონიძის სტატია - „ანტრაქტზე, მაყურებელთა შორის“.
პირი: ზაქარია ფალიაშვილი, ვ. აბზიანიძე, ი. თუმანიშვილი, ა. კვეზერელი-კოპაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, თამარ თაქთაქიშვილი, ო. რჩეულიშვილი, პ. ციციხვაია.
გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ №69. 21 მარტი. 4 გვ.
- 19) სტატია - „ხასიათის ახლებური გახსნა“, პეტრე ამირანაშვილი მურმანის პარტიასა და მასზე მუშაობის შესახებ.
პირი: ზაქარია ფალიაშვილი, ოდისეი დიმიტრიადი. გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ №69 . 21 მარტი. 2 გვ.
- 20) სტატია - „გენიალური ქართული ოპერა“, მუსიკისმცოდნე პავლე ხუჭუა „აბესალომ და ეთერის“ განახლებულ დადგმაში ახალი საშემსრულებლო ინტერპრეტაციების შესახებ.
პირი: იოსებ სტალინი, ზაქარია ფალიაშვილი, ი. თუმანიშვილი, სოლიკო ვირსალაძე, ოდისეი დიმიტრიადი, ზურაბ ანჯაფარიძე, თამარ თაქთაქიშვილი, თ. ტაკიძე-ორჯონიკიძე, ვახტანგ ჭაბუკიანი, იოსებ გრიშაშვილი.
გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ №69. 21 მარტი. 7 გვ.
1953 წ. მარტი. სხვადასხვა გაზეთებიდან ამონაბეჭდები რუსულ ენაზე. 20 სტატია. 55 გვ.

საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული მასალები

52. ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალურ ასპარეზზე მოღვაწეობის 30 წლიანი საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა მომწეობი კომიტეტის ბროშურა – ფალიაშვილის მოღვაწეობის შესახებ და „საიუბილეო კომისიის“ სია. პირი: დ. კანდელაკი, ი. გედევანიშვილი, ვასო აბაშიძე, ფალიაშვილი [ივანე], წუწუნავა [ალექსანდრე], რობაქიძე [გრიგოლ], ბალანჩივაძე [მელიტონ], იპოლიტოვიანი [მიხეილ], გრიშაშვილი [იოსებ] , [მამია] დუდუნავა, ტაბიძე [ტიციან], ასმეტელი [სანდრო], მარჯანიშვილი [კოტე], ს. ევლახიშვილი(ევლახოვი), სტოლერმანი.

1924 წ. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

53. ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კომიტეტის სხდომის ოქმი №1, დღის წესრიგი.

პირი: წუწუნავა [ალექსანდრე], მშველიძე [შალვა], აზმაიფარაშვილი [შალვა], ინაშვილი [სანდრო], ტუსკია იონა, არაყიშვილი [დიმიტრი], დონაძე [ლადო] , ჭაბუკიანი [ვახტანგ], კილაძე [გრიგოლ], კვალიაშვილი [მიხეილ], მირცხულავა [დიდიმ], როსტომ შადური, პ. კანდელაკი, უ. ჯაფარიძე, ა. ჯიშიაშვილი, მ. ზოდელავა, დ. ძნელაძე, წივწივაძე.

ტოპონიმი: ქუთაისი, თბილისი.

1947 წ. 4 ოქტომბერი. ნაბეჭდი. დევეს რ. შადურის რეზოლუცია. ხელს აწერენ : როსტომ შადური (ფანქარი), ლადო დონაძე (მელანი). 5 გვ.

54. ზაქარია ფალიაშვილის საიუბილეო კომიტეტის სხდომათა ოქმები, საიუბილეო ღონისძიებათა და გამოცემათა შესახებ.

პირი: როსტომ შადური, ლადო დონაძე, [იაკობ] ნიკოლაძე, დიმიტრი არაყიშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, გ. ჯიბლაძე, პ. კანდელაკი, ა. ჯიშიაშვილი, შალვა მშველიძე, გრიგოლ კილაძე, შალვა აზმაიფარაშვილი, უ. ჯაფარიძე, მ. ზოდელავა, წივწივაძე, სანდრო ინაშვილი, მიხეილ კვალიაშვილი, დ. ძნელაძე, დიდიმ მირცხულავა, აკაკი ხორავა, შოთა აღსაბაძე, ბ. გოგუა, იონა ტუსკია, პ. კანდელაკი, დავით ანდლულაძე, ვახტანგ ჭაბუკიანი, შალვა კაშმაძე, სერგო ქობულაძე.

1947 წ. 4;13 ოქტომბერი – 20 ნოემბერი. №3 ოქმი - ნაბეჭდი. ადევეს რ. შადურის რეზოლუცია. ოქმები №1;2;3 რვეულზე ხელნაწერი. მელანი. 20 გვ.

55. ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კომიტეტის სხდომის ოქმი, საიუბილეო ღონისძიებების და მონაწილეთა შესახებ.

პირი: როსტომ შადური, იაკობ ნიკოლაძე, დიმიტრი არაყიშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, აკაკი ვასაძე, დავით ანდლულაძე, შალვა მშველიძე, გრიგოლ კილაძე, სიმონ ჩიქოვანი, შალვა აზმაიფარაშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, პეტრე ამირანაშვილი, მიხეილ კვალიაშვილი, დ. ძნელაძე, დიდიმ მირცხულავა, ლადო დონაძე, შალვა კაშმაძე.

1947 წ. 13 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ჩასწორებები მელნით. ხელს აწერენ: როსტომ შადური, ლადო დონაძე. 3 გვ.

56. საქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კომიტეტის სხდომის ოქმი, ზ. ფალიაშვილის რომანსებისა და სიმღერების გამოცემის შესახებ.

პირი: შალვა აზმაიფარაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, გრიგოლ კილაძე, იოსებ გრიშაშვილი, ილია ჭავჭავაძე, დ. თუმანიშვილი, იური ლერმონტოვი .

1947 წ. 13 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 2 გვ.

57. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და ცეკას დადგენილება №1041 საქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავად საიუბილეო კომიის შექმნისა და ჩასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

პირი: როსტომ შადური, შოთა აღსაბაძე, შალვა აზმაიფარაშვილი, პეტრე ამირანაშვილი, დავით ანდლულაძე, დიმიტრი არაყიშვილი, აკაკი ვასაძე, ს. გოგუა, დ. ძნელაძე, უ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე, ა. ჯიშიაშვილი, ლადო დონაძე, მამია დუდუჩავა, ი.ზოდელავა, ა. ინაშვილი, პ. კანდელაკი, მიხეილ კვალიაშვილი, გრიგოლ კილაძე, ვ. ქურდაძე, შ. მამალაძე, ვ. მაჭავარიანი, დიდიმ მირცხულავა, შალვა მშველიძე, იაკობ ნიკოლაძე, აკაკი ხორავა, ალექსანდრე წუწუნავა, ვახტანგ ჭაბუკიანი, მიხეილ ჭიაურელი, სიმონ ჩიქოვანი, აკაკი შანიძე.

1947 წ. 26 ოქტომბერი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

58. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილის დადგენილება, საქარია ფალიაშვილის 75 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ღონისძიებათა ნუსხა.

პირი: მაჭავარიანი, გოგუა.

ტოპონიმი: ქუთაისი.

1947 წ. 21 ნოემბერი. ასლი. გ ბუხნიკაშვილის ხელნაწერი. მელანი. 2გვ.

59. საქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს საიუბილეო კომიტეტის დღის წესრიგი.

პირი: როსტომ შადური, დავით ანდლულაძე, მამია დუდუჩავა, ჯიშიაშვილი, შალვა აზმაიფარაშვილი.

1947 წ. 11 დეკემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

60. საქარია ფალიაშვილის საიუბილეო საღამოს ოფიციალური ნაწილის პროგრამა და დღის წესრიგი. ერთვის საკონცერტო პროგრამა.

პირი: როსტომ შადური, აკაკი ხორავა, ალექსანდრე წუწუნავა, გრიგოლ კილაძე, შალვა მშველიძე, შალვა დადიანი, დემნა შენგელია, იოსებ ნონეშვილი, დავით ანდლულაძე, მამია დუდუჩავა, ა. ჯიშიაშვილი, შალვა აზმაიფარაშვილი, [ვახტანგ] ფალიაშვილი გიორგი ხახანაშვილი.

1947 წ. 13 დეკემბერი. ნაბეჭდი. საკონცერტო პროგრამა. ბლანკი. მელანი. 5 გვ.

61. საქარია ფალიაშვილი დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კომიტეტის სხდომის ოქმი №4 .

პირი: როსტომ შადური, ლადო დონაძე, შალვა დადიანი, ალექსანდრე წუწუნავა, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, მიხეილ ჭიაურელი, შალვა მშველიძე, გრიგოლ კილაძე, შალვა აზმაიფარაშვილი, შოთა აღსაბაძე, მიხეილ კვალიაშვილი, იოსებ ნონეშვილი, მამია დუდუჩავა, კოტე მარჯანიშვილი, ვახტანგ ფალიაშვილი, სანდრო ინაშვილი, პეტრე ამირანაშვილი.

1947 წ. 13 დეკემბერი. ნაბეჭდი. მელანი. ჩასწორებებით. ხელს აწერს როსტომ შადური. 3 გვ.

62. ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასასწრებად მოწვეულ სტუმართა სია (დეპეშის საფუძველზე სსრ კავშირის მასშტაბით მოწვეული ასამდე ცნობილი კომპოზიტორ-შემსრულებელი). სიას ერთვის ოპერის საქმეთა მმართველ ლ. ფირცხალავას წერილი გ. ბუხნიკაშვილისადმი აღნიშნული სიების გაგზავნის შესახებ.

პირი: როსტომ შადური, მამია დუდუჩავა.

1947 წ. 22 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. წერილი - ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს ლ. ფირცხალავა. 9 გვ

63. ალექსანდრე წუწუნავას მოხსენებითი სიტყვა ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. ფალიაშვილის მნიშვნელობაზე ქართული საოპერო ხელოვნების განვითარების შესახებ.

პირი: როსტომ შადური, მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი, ნიკო სულხანიშვილი, ია კარგარეტელი, კოტე ფოცხვერაშვილი, ლავრენტი ბერია. 20 დეკემბერი [1947წ.] ნაბეჭდი. ადევს როსტომ შადურის რეზოლუცია მამია დუდუჩავას სახელზე. 2 გვ.

64. კომპოზიტორ გრიგოლ კილაძის სიტყვა – მიძღვნილი ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი. ქართულ ეროვნულ მუსიკალურ ტრადიციებთან ზ. ფალიაშვილის შემოქმედების მჭიდრო კავშირის შესახებ.

[1947 წ.] ნაბეჭდი. 2 გვ

65. გ. ბუხნიკაშვილის ჩანაწერი ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შესახებ (დეტალური აღწერა ჩატარებული ღონისძიებებისა და პრესაში გამოქვეყნებული სტატიების ჩამონათვალი)

პირი: როსტომ შადური, დავით ანდღულაძე, პეტრე ამირანაშვილი, აკაკი ხორავა, ალექსანდრე წუწუნავა, გრიგოლ კილაძე, ოვეზოვი, ა. ტერ-ლევონტიანი, შალვა მშველიძე, შალვა დადიანი, დემნა შენგელაია, იოსებ ნონეშვილი, გიორგი ხახანაშვილი, ვახტანგ ფალიაშვილი, დიდიმ მირცხულავა, ლადო დონაძე.

ტოპონიმი: ქუთაისი, თბილისი.

[1947 წ.] გ. ბუხნიკაშვილის ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 6 გვ.

66. ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ შადურის მოხსენება ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედების შესახებ.

პირი: ფილიმონ ქორიძე, სერგეი ტანევი, ასაფიევი, ნემიროვიჩ-დანჩენკო.

ტოპონიმი: მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, სვერდლოვსკი, ოდესა, აღმა-ატა, ბაქო, ერევანი, ლონდონი, თეირანი, ქუთაისი, თბილისი.

[1947 წ.] ნაბეჭდი. 19 გვ.

67. ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო კომიტეტის მასალების ნუსხა, სახელმწიფო სათეატრო მუზეუმისთვის გადაცემის შესახებ.

პირი: შალვა კაშმაძე, ლადო დონაძე.

1948 წ. 24 თებერვალი. ნაბეჭდი. მელანი. ფანქარი. ხელს აწერენ შ. გაბესკირია და გ. ბუხნიკაშვილი. 1 გვ.

68. ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ საიუბილეო კომიტეტის ოქმი - პროტოკოლი.

პირი: გ. დ. ჯავახიშვილი, პეტრე ამირანაშვილი, ზ. გ. ახვლედიანი, ანდრია ბალანჩივაძე, შ. ბუხრაშვილი, კ. გარდაფხაძე, მ. გოგიცაიშვილი, დ. გოგოხია, ოთარ გორდელი, ა. დვალისხილი, უ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე, ა. ძიძიგური, ლადო დონაძე, შ. ყარყარაშვილი, რევაზ ლალიძე, თ. ლაშქარაშვილი, ალექსი მაჭავარიანი, დ. მჭედლიშვილი, დ. მჭედლიძე, ვახტანგ ფალიაშვილი, ვ. სირაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, სულხან ცინცაძე, დ. ჩხიკვიშვილი, ი. შევარდნაძე, მ. ურუშაძე.

ტოპონიმი: თბილისი, ქუთაისი.

1971 წ. 15 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს გ. ჯავახიშვილი. 3 გვ.

69. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრ ოთარ თაქთაქიშვილის ბრძანება №351 კულტურის სამინისტროსადმი, ზაქარია ფალიაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების შესახებ.

პირი: ნ. ჯაფარიძე, სულხან ცინცაძე, დ. მჭედლიძე, ო. პაპიაშვილი, ანტონ წულუკიძე, მ. ყიფიანი, ოტიაშვილი, კალანდარიშვილი, გულბათ ტორაძე, ი. არდიაშვილი, ა. დვალისხილი, გ. ბუხნიკაშვილი, მხეიძე [ლევან], ბერძენიშვილი [მერაბ].

ტოპონიმი: თბილისი, ქუთაისი, გელათი, ბაქო, ერევანი, მოსკოვი.

1971 წ. 15 ივლისი. თბილისი. კულტურის სამინისტროს ბეჭდით დამოწმებული. ნაბეჭდი. 3 გვ

70. ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებზე მოწვეულ სტუმართა სია (30-მდე სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი მუსიკოსები)

1971 წ. 12 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. მელანი. 5 გვ.

71. ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ვოკალისტთა რესპუბლიკური კონკურსის ბუკლეტი („სამახსოვრო“).

პირი: სულხან ცინცაძე, ვასილ ხმალაძე, იოსებ კეჭაყმაძე, დავით ანდლულაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ოთარ გორდელი, ედგარ დავლიანიძე, თენგიზ ერისთავი, გივი ლორთქიფანიძე, დიმიტრი მჭედლიძე, სულხან ნასიძე, იგორ ურუშაძე, ვახტანგ ფალიაშვილი, იულია ფალიაშვილი. შოთა ქუთათელაძე, ნელი ჩიქოვანი, ელენე ძიძაძე, ნოდარ ჯაფარიძე, არსენ ჯორჯიაშვილი, ისაკ ათანელოვი, ვერევა დავიდოვა, ნ. ა. ლალიაშვილი, ლამარა გოგლიჩიძე.

1971 წ. ოქტომბერი. თბილისი. სტამბური. 2 ეგზ.

72. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა სსრ კავშირის მასშტაბით ჩატარების შესახებ. (დოკუმენტის მეორე პირი სათეატრო მუზეუმისთვის)

ტოპონიმი: ახერბაიჯანი, სომხეთი, მოსკოვი, თბილისი, ქუთაისი, ბორჯომი.

1971 წ. სექტემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს რ. შანიძე. რუსულ ენაზე. 4 გვ.

73. ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკა და კონვერტი.

1971 წ. თბილისი. 2 ც.

74. ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის შესავალი სიტყვა.

[1971 წ.] ნაბეჭდი. ავტორი უცნობი. 5 გვ.

მისალოცი ადრესები

75. ადრესი ქართული სამუსიკო საზოგადოებისგან ზაქარია ფალიაშვილისადმი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პრემიერასთან დაკავშირებით. 1919 წ. 25 თებერვალი. ნაბეჭდი. მხატვრული გაფორმებით. სამუსიკო საზოგადოების ბეჭდით დამოწმებული. ხელს აწერენ: ალექსანდრე წუწუნავა, ზაქარია ჩხიკვაძე, აქესენტი ჩიჯავაძე, ილ. აბაშიძე, ალ. ნეიმანი, ს. ტარალაშვილი. 1 გვ.

76. ადრესი თბილისის კონსერვატორიის მოწაფეთა დელეგატების საბჭოს თავმჯდომარისგან ზაქარია ფალიაშვილის სახელზე სამუსიკო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.

1919 წ. 25 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. კონსერვატორიის ბეჭდით დამოწმებული. ხელმოწერა არ იკითხება. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

77. ადრესი სამუსიკო სასწავლებლებისგან ზაქარია ფალიაშვილისადმი მუსიკალურ ასპარეზზე 30 წლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით (დექსის სახით). 1925 წ. 12 აპრილი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

78. ადრესი სამხატვრო აკადემიის პროფესორთა საბჭოსგან ზაქარია ფალიაშვილი სამუსიკო მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით.

1925 წ. 12 აპრილი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

79. ადრესი ნაძალადევის I მუსიკალური მუშფაკისგან ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკოს მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით.

1925 წ. 12 აპრილი. თბილისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ პედაგოგები: თ. საბურძანია, ე. ფანცხავა, ე. სხვანიძე, კ. ჯუღელი, ვ. ცაგარეიშვილი, ნ. ვსილოვზოროვი, ვ. პონემორსკაია. ტუში. 1 გვ.

80. ადრესი ტფილისის სახალხო მომღერალთა გუნდისგან (ალ. მაისურაძის ხელმძღვანელობით) ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალური მოღვაწეობის 30 წელთან დაკავშირებით.

1925 წ. 12 აპრილი. თბილისი. ავტოგრაფი. ხელს აწერენ გუნდის ლოტბარი ალექსანდრე მაისურაძე და გამგეობის წევრები: გ. იორდანაშვილი, ალ. ხუციშვილი, ვ. ნადირაძე. ტუში. 1 გვ.

81. ადრესი თბილისის კონსერვატორიის მოწაფეებისგან პირველი სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორ ზაქარია ფალიაშვილისადმი.
პირი: ასათიანი.

უთარილო. ხელნაწარი მხატვრული გაფორმებებით. აკვარელი, ტუში, ლურჯი და წითელი მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

ზ. ფალიაშვილის მოგონება

82. ზაქარია ფალიაშვილის მოგონება 1929 წელს ხარკოვში გატარებული დღეების შესახებ. (შეხვედრები, კონცერტები, რეპეტიციები)

პირი: ცაგარელი, იური ტკაჩენკო, ლიპიციკი, კოზიციკი, პოლფიროვი, იაკობ იაკოვლევიჩი, გრიგორი ველერი, იაკობ როზენშტეინი, ბორისოვი, ბოგოსლოვსკი, ლესოვსკი, კლებანოვი, კოსიტინკო, ლისენკო, ავხარენკო, ტონერიაკოვი, ზაქარია ნევსკი, ლებედი, ვასილკო, სოფია ცაგარელი, ანრი ბარბიუსი, რეიზინი, როზენშტეინი, გლაუტერნი, დიმა ფრიხკო.

1929 წ. ხარკოვი. ზაქარია ფალიაშვილის ხელნაწერი. მელანი, ფანქარი. დაზიანებული. რუსულ და უკრაინულ ენებზე. 7 გვ.

მოგონებები ზ. ფალიაშვილის შესახებ

83. ალ. მიქაბერიძის მოგონება – “ზაქარია ფალიაშვილის მოგონების სახით”.

1) „ბიოგრაფიული მონაცემები“, 2) „ნიკო ცხველაძის წინასწარმეტყველება ზაქარია ფალიაშვილის მომავლის შესახებ“, 3) „ზაქარია ფალიაშვილის ტრიუმფი“, 4) ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პირველად დადგმის შეფასება“, 5) „ზაქარია ფალიაშვილის ოპერები მოსკოვის დიდ თეატრში“, 6) „ოპერები ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში“, 7) „ზაქარია ფალიაშვილის მოღვაწეობის მოკლე დახასიათება“.

1939 წ. 25 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 60 გვ.

84. შალვა კაშმაძე: „ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი თარიღები“.

პირი:

პეტრე ფალიაშვილი, მარიამ მესარქიშვილი, ივანე ფალიაშვილი, ლადო აღნიაშვილი, ნიკოლაი კლენოვსკი, ვანო სარაჯიშვილი, სერგეი ტანეევი, იულია უტკინა, პეტრე მირიანაშვილი, სანდრო ინაშვილი, აკაკი ფალავა, მიხეილ კვალიაშვილი, სამსონ ნადარეიშვილი, აკაკი წერეთელი. ტოპონიმი: განჯა, ქუთაისი, თბილისი.

